

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
სელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ, въ редакцію «Дროбна»

დროება

უასი ბანსხადებისა

სკრიპონზე რვა ვაბ. განცხადება მიიღება ქართული რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საქიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდის.

ბამოლის ქოველ დღე ორშაბათს ბარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

მიიღება ხელის. მოწერა

მოძავალს 1884 წლისათვის ვახუთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

- თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
მუთისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთავეთან.
ქალაქს ვარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисѣ, въ редакцію «Дროбна».

Table with 2 columns: Subscription duration and price. Includes rates for 12 months (9 rubles), 11 months (8 rubles 50 kopecks), 10 months (8 rubles), 9 months (7 rubles 50 kopecks), 8 months (7 rubles), 7 months (6 rubles), and a rate for 7 months (7 rubles) and 6 months (4 rubles).

ხვედრი ფული ხელის-მოწერა გაზეთის დაბარებისთანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრენის თეატრი.

სამშაბათს, 27 დეკემბერს.

ბენეფიცი

მ. მ. შამსიძისა

ქართული დრამატული დასის ამხანაგობასაგან წამოადგენილი იქნება

საზაპევი

ორაველია 5 მოქმედება. და 8 სურათად. მხზულდება ა. შურცელაძისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (3-2)

თარჯიმნები ჩვენაშორ ბამოკიძე-ლავის ხელში.

თბილისი, 23 დეკემბერს.

არა ერთჯერ ყოფილა მოხსენებული ჩვენს გაზეთში, თუ საზოგადოდ მსაჯულებს და გამოძიებლებს. რა სუსტი თარჯიმნები ჰყავთ.

ან საიღამ უნდა იყვნენ ეს უკანასკნელი მარჯვენი და საქმენი, როდესაც თარჯიმნობას აღსრულებენ უბრალო მწერლები, რომელნიც რვა ან ათ მანათიან ჯამაგირზედა სხედან თვეში. ზოგი ესეც კი საკითხავად ვაჭრობით, — რა სჯობია, მუშად ყოფნა თუ თარჯიმნობათ. მათ შორის, რომელი უფრო მეტს ჯილდოს ღებულობსო. და რომელს უფრო მეტი შიშველიება მოეთხოვებაო.

მწერალი (ხშირად თარჯიმანიც) სამსახურის ჯილდოდ ღებულობს რვა მანათს, და დილის რვა საათიდან მოკიდებული მუშაობა შუადღის უკან მებუთრე საათამდე, ხანდისხან უფრო მეტსაც. შემდეგ ისაღლიებს და იმავე ღამეს ამხანაგებს მერაყე დღისათვის ხელ-მოსაწერ ქალაქებს. ამ გვარად იგი მუშაობს მთელი თვის

განმავლობაში; თვის 23-ს, ან 24 რიცხვს ღებულობს ჯილდოდ ამა მიმე ტვირთის ზიდვისათვის რვა მანათს. ან ერთ თუმანს. რა უყოს ამ საკლდე რვა მანათს? სადგომის ქირა მესცეს, თუ გარდებოდეს ვალი საქმლის ხარჯისა, თუ ტანისამოსი იყიდოს, წაღებო, ზამთარში შეშა, სამთელი და სხვა... დადგება თუ არა დღე ჯამაგირის მიღებისა, ირგვლივ მოადგებიან რვა მანათის პატრონ-მწერალს: მელუქნე, სახლის-პატრონი და სხვანი. თითო მანათი რომ ოთხ-ოთხ ნაწილად გაგლიჯოს, მიიღოს ვერ დააკმაყოფილებს თავის მოვალეთა! რასაც გააწვდენს — ხომ გააწვდენს, რაც არა და, კისერზე აწერენ თავიანთ გაქონილ დაფორებში ხსენებული მოვალენი. რა თქმა უნდა, რომ წლის განმავლობაში ვალი აღის სამოც-ოთხმოც მანათამდე. მისაც მდიდარი მშობლები ჰყავს, იმას კიდე არა უშავს-რა, რადგანაც ვალს მშობელნი გადუბდიან; მაგრამ რა უნდა ეშველოთ იმ ღარიბ ოჯახის შვილებს, რომელთა მშობლები არა თუ ვალს ვერ გადუბდიან თავიანთ შვილებს, არამედ პირ-იქით თვითვე თხოულობენ შემწევობას მათგან!

მივაქცევთ, მაგალითად, მკითხველების ყურადღებას კერძოდ იმ მოვალეობაზედ, რომელიც აწევთ კისერზედ გამოძიებლის თარჯიმნებს თავიანთ უფროსებისაგან: წელიწადში უკანასკნელი 120 საქმე მაინც უნდა გაათავოს გამოძიებელმა. ამ საქმეებისთვის რაც შრომა დასჭირდება თარჯიმანს, ეს თვით მკითხველმა წარმოიდგინოს. მაგრამ გარდა ამ ს, რვა მანათიანმა მწერალმა-თარჯიმანმა უნდა ვადასწეროს ყველა საქმის

წარმოება უჯილდოვოდ ბრალდებულითა ვადასაცემად, რადგანაც კანონი მოითხოვს, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს უზარჯოდ პირი მთელის გამოძიებისა. იტიქრეთ, თუ რა დღეშია მწერალი. თითოეულ საქმიდამ უნდა გადმოწეროს, სულ რომ ცოტა, ათი-თორმეტი უფროცელი ქალაქი მაინც და, თანამხმელ მისი მოვალეობისა, დაამზადოს სამსახურის სხვა ქალაქებშიც. რა თქმა უნდა, რომ ამ გვარად წვლებული ადამიანი ხშირად შესცოლავს რასმეს, უმტყუნებს საქმეში...

აქედამ ცხადათა სჩანს, თუ როგორ საქიროა, რომ თარჯიმნებს ეძლეოდეთ რიგიანი ჯამაგირი და გაუჩინონ უყვედური ლუკმა პური. მაშინ... თითონ სამართლის ტაძარიც დამსახურებს ჩვენის ხალხის თვალში ჯეროვანს პატივისცემას და სიმპატიას.

შინაური პროცესი

ქართული მონასტრის ბედი ათონის მთაზედ, როგორც ამ დღეებში ვაცნობთ მკითხველებს, საკეთილოდ დატრიალებულა. ხელმწიფე იმპერატორს უნებებია 15000 მანათის დანიშნა იოანე ლეთის-მეტყველის ეკლესიის ასაგებლად და სხვა ფრივაც მიუქცევია ყურადღება ქართველი ბერების შევიწროებულ მდგომარეობაზედ. ჩვენა ენახეთ წერილი მაკედონის გენერალურ კონსულითა მონასტრის წინამძღვართან მიწერილი ამ საგანზედ, რომელშიც კონსული აცნობებს ხელმწიფე იმპერატორს ბძანებას. მსეთი თავგამოდება მთავრობის მხრივ მოხდა მამა ბარკალაიას მეოხებით, რომლის მუყაითობისა და მოხერხების მაღლობელნი უნდა იყვნენ ისინი, ვისაც კი ახარებს ქართული მონასტრის აღდგენა ათონის მთაზედ და ქართველი ბერების ბერძნების ხელიდამ დახსნა.

ქაზეთიდამა გეწერენ: დროსუცებული მლის. მახეზოვის სიკვდილზედ არა ნაკლებ ყურადღებას იზიდავს აქაურის საზოგადოებისას ერთი პრთაველი გლეხის მოკვლა. ამ გლეხს თურმე წინა დღეს კამბეჩები დაჰკარგვია; ძეხნის დროს შეუტყვია, რომ მისი კამბეჩები დაუმწყვდევიათ მიხა ქარალაშვილის მეზერებს. საღამო ქამს, გლეხს აუღია სახისი იმ ფიქრით, რომ ამას მიეცემ მეზერებსა და ჩემს კამბეჩებს დაეხსნია და წასულა მეზერებთან. მეზერებს, როგორც ამბობენ, ჯერ უტყვიათ ამ კაცისა-

თვის, შემდეგ დაუღრჩივით, წამოუღლიათ ღამით, შემოუტანიათ მოკლულის საკუთარს ეზოში და ჩაუგდიათ გომურში.

ამ ამბის შეტყობისთანავე ბაღდაშხრის პრისტავი მისულა პრთაწაში, გაჰყოლია კვალს, რომლითაც მოუტანიათ საწყალი გლეხი გომურში და მისულა სწორედ მეზერების ეზოში. აქ პრისტავს შეუშინებია ერთი ადგილი, სისხლით მოსვრილი, რომელიც იმის ფიქრით მოკლული გლეხის სისხლით იყო მოარწყული, ამოსჭრა ის მიწა და გამოგზავნა მახრის უფროსთან, რომელმაც თავის მხრით გაგზავნა თბილისში გამოსაკვლევად, თუ რის სისხლია იმ მიწაზე დანთხეული ადამიანისა თუ საქონლისა. თუმცა სხვა-და-სხვას ლაპარაკობენ, მაგრამ მახრის დოქტორს, მოკლულის გვამის შემოწმების შემდეგ, ეთქვა, რომ ძალად სიკვდილის ნიშნები არა აქვსო. აქ არ შეგვიძლიან არ შეენიშნოთ, რომ ამ გვარს შემთხვევაში, როგორც კაცის მოკვლას, შემოწმება ერთის ექიმისაგან არა კმარა.

იქილამევე წერებიან

«არც ზოგიერთი წერიმალნი ბოროტებანი აძლევენ მოსვენებას ჩვენის მახეთის სოფლებსა. მათენდება და გესმის: იმას ხარ-კამბეჩი მოჰპარესო, იმას ცხენიო, იმას საბძელი დაუწვესო, იმას ვენახი გადუკაფესო და სხვა ამისთანები. ხშირად ერთი რომელიმე ამ გვარი დანაკლისი სრულიად ასაწყვლებს ოჯახსა და საუკუნოდ უკიდურეს სიღატაკეში აგდებს. ამ აზრიო ხელმძღვანელობდენ ზოგიერთი მახეთის სოფლები, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინად შეადგინეს განჩინებანი მასზედ, რომ თუ სოფელში რომელიმე ოჯახს დააკლდა რამ აუკაცობით, მას ეს დანაკლისი მთელი სოფლისაგან ეზღოს. ჰფიქრობდენ სოფლის მცხოვრებნი უფრო მოერიდებიან მეზობლის მიუბედურებას, და მით სოფელში სანატრელი მშვიდობიანობა დამყარდებო.

შველა ეს განჩინებანი დამტკიცებული იქმნენ თვით გუბერნატორისაგან, მაგრამ ჩვენ ის გვაკვირებს, რომ ამ განჩინებებს თელავის აღმინისტრაცია ყურს აღარ უგდებს და მთელს სოფელს აღარ ახდევინებს მეზობლის დანაკლისსა. იმედი გვაქვს, რომ თ. ნ. ჩოლაყაშვილი ჯეროვანს ყურადღებას მიექცევს როგორც ამ გვარს ბოროტ-მოქმედებს სოფელში, აგრეთვე მათზე შედგენილს განჩინებებს...»

დასჯა გადუწყვიტა ოთხს დამნაშავეს, რომელნიც დაეცნენ მილომენის სახლს, მოპკლეს სახლის პატრონი, გაზიდეს მისი საცხოვრებელი და აგრეთვე სახანძრო ნივთები. შერწინა «იურიდიკოსი» სწერენ, რომ 25 ნოემბერს, მანჯის გუბერნატორმა ეს განაჩენი წარუდგინა მთავარმართველს დასამტკიცებლად. მბილისიდან კურიერით გაგზავნეს დამტკიცებული კონჭირმა-ცია, რომელიც უკვე აღასრულეს 29 ნოემბერს ჯან-იატახში, ზედ იმ ადგილზედ, სადაც თითონ დანაშაულობა მოხდა. ბ. გუბერნატორის განკარგულებით, აქ ყოველ მხრივ მოაწყდა მრავალი ხალხი საყურებლად. სიკვდილით დასჯის სურათმა შესამჩნევი აღბეჭდილება მოახდინა ხალხზედა. ბ. მანჯის გუბერნატორმა განუცხადა ხალხს ახალი დადებულება ქურდობის თაობაზედ, ცარცვისა, გადაწვისა და სხვ. ამას დაუმატა, რომ ყოველი მანე პირი, რა ჩამომავლობისა და გვარიშვილობისაც გინდა იყოს, ადმინისტრაციული განკარგულებით იქნება გარდასახლებული თავის ქვეყნიდან. ამ ლაპარაკის შემდეგ, მისმა ბრწყინვალეებამ იქვე დააჭერინა და გაგზავნა ქ. მანჯაში ერთი გაყვანილი შუშელი ბეგი, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა.

«ბაქოს უწყებებს» სიტყვით, მალე ჩვენს რკინის გზაზედ მხოლოდ კვირაში ერთხელ ივლის კურიერის მატარებელი; სხვა დღეებში კი ივლის საქონლისა და პასაჟირების საერთო მატარებელი. ამას იმ განზრახვით ჩადიან თურმე, რომ მეტი ნავთის გადაზიდვა შეიძლებოდეს და პასაჟირებს კი ამითი არა უჭირს-რა, რადგან მაინც აგრე რიგად მეტი ხალხი არ დადის რკინის გზითა.

«მაეკაზი» გვაცნობებს, რომ ნავთის მწარმოებელთ დაუდგენიან გამართონ ხოლომე კრებები ნავთის საქმის განსახილველად და ამ საგანზედ წარუდგენიან კიდევ ნება-რთვის თხოვნა უმაღლესის მთავრობის წინაშე.

«დროშის» კორესპონდენცია.

თელავი. ბაღდაშვილის და კამპ. ფულით სავაჭრო სახლმა შავი დღე დააყენა ჩვენის ხალხს იმ ნაწილს, რომელსაც რომელიმე საქმისათვის ფული დასჭირდება ხოლომე და მით იძულებულია, სხვა წყაროს უქონლობისგან, მიმართოს მოხსენებულს სავაჭრო სახლსა. წელს გაზაფხულზედ «დროშაში» მოყვანილი იყო დაწერილებითი ცნობანი და ანგარიშები იმაზე, თუ როგორს მოეახმე სარგებელს იღებს ბ. ბაღდაშვილი მსესხებლებსაგან. ახლა ჩვენ გვსურს კიდევ ერთხელ გავაფთხილოთ ჩვენი გულ-კეთილი ხალხი და მოგვყავს ამისათვის ცოცხლი მაგალითი. ამთვის დამდგეს ერთმა თავადმა თ. რ.

ისესხა მოხსენებული სავაჭრო სახლი-დამ 300 მანათი ფული ექვსი თვის ვადით. სარგებელი ამ ფულში გამოურიცხეს შვიდი თუმანი, ე. ი. ოცდაათი თუმნის მაგიერად თავადმა მიიღო მხოლოდ ოც დასამი თუმანი და ექვსი თვის შემდეგ კი ისევ ოცდაათი თუმანი უნდა შეიტანოს. ინგარიშით, ბატონებო, ვინც ანგარიში იცით, და ნახეთ, რომ ბ. ბაღდაშვილი და მის მსგავსი კამპ. იღებს 60 პროცენტზე მეტს, ე. ი. ყოველს ნაღდს მანეთზე ბაღდაშვილმა და კამპ. ააძრეს გაჭირებულს თავადს სამ აბაზზედ მეტი; მაგრამ ყველაფერსა აქვს დასასრული და ვგონებთ ბაღდაშვილებსაც ეწია ზღვევის დრო. ბ. ი. პ. რ.—ლის და სხვათა მეცადინეობით თელავში გაიხსნა ეგრეთ-წოდებული გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, ანუ ხალხური ბანკი, რომელშიაც ამხანაგად მიიღებიან მთელი თელავის მახრის მცხოვრებნი, სრულ-წლოვანი ვაჭნი და ქალნი. ამხანაგად ამ დაწესებულებაში მიიღება ყველა, ვინც შეიტანს თვეში არა ნაკლებ ერთს მანეთისა, ვიდრე მოამხანაგეს არ შეუსრულდება სრული წილი ექვსი თუმანი. თუ რა დიდი განსხვავება აქვს ამ ამხანაგობისაგან და ბაღდაშვილების სავაჭრო სახლი-დამ ფულის სესხვას, ცხადათა სჩანს იქიდან, რომ თუ თავად თ. რ. ის ოცდაათი თუმანი ამ ამხანაგობიდან ესესხნა ექვსის თვით, გამგობა ამხანაგობისა შვიდი თუმნის მაგიერად მხოლოდ თრამეტ მანეთს გამოართმევდა და წლის დასასრულს საზოგადო მოგებიდანაც უწყებულს წილს მიჰსცემდა, ასე რომ იმ ოცდაათი თუმნის სესხვა დაუჯდებოდა ექვსის თვით არა უმეტეს შვიდი-რვა მანეთისა. ასე განუზომელად სასარგებლო არის საზოგადო საქმის დაფუძნება და ამიტომ იმედია, რომ ყველა ქართველი, რომელსაც ჯერ კიდევ გული უღვივის და სიპატროსნე არ დაუკარგავს, ამ ახლად დაწყებულს საქმეს მიეცემა და წესდების მტკიცე აღსრულებით წარმართავს, როგორც თვის პირადს საქმეს, ასე მთელი ხალხისას. ღანებეთ, ბატონებო, ბაღდაშვილებს და მის მსგავს მევანშეებს თავი! ამ ორი წლის განმავლობაში ჩომ კარგად გაიცანით, თუ რა მევანშე ყოფილან ეს ვაჭბატონები.

ბი კიდევ, ბატონებო, ერთი მაგალითი იმისი, თუ რა ძალია საზოგადოდ საქმის მართვა-წარმოება. «დროშის» 247 ნომერში სოფ. ლანჩხუთიდან (მზურგეთის მაზრაში) იწერებოდენ შემდეგს: «თუმცა ჩვენი სოფელი რკინის გზის სტანციიდან რამდენსამე საქენზედ მდებარებს, მაგრამ არავითარი წესი არ არსებობს ვაჭრობისა. ტაქსაში გირვანქა პური ოთხ-ხუთ კაპეკათა ჰსწერია და აქ კი ექვს კაპეკათ ჰყიდიან, ისიც მეორე სორტისა და ხშირად ტალახს-ვით გამომცხვარს; შაქარი აქ სტანციასთან ოცდაშვიდი კაპეკია გირვანქა და მზურგეთში კი, სადამდინაც ოცი ვერსი ურმით უნდა ვაჭ-

რონ საქონელი, ოცდახუთი კაპეკი ღირს. ამ ამბავს იწერებოდენ ლანჩხუთიდან რვა ქრისტიანობისთვის. ამივე დროს, თელავის საზოგადოდებოში შაქარი იყიდებოდა გირვანქაში 23 კაპეკად და მთელი თავადობით 22 1/2 კაპეკად. რისგან წარმოსდგება, რომ შაქარი, რომელიც მოდის მდესიდან მბილისში იმერეთზე და მხოლოდ მბილისიდან, კარგი გზის უქონლობისგან, რის ვიწვავლახით მოდის თელავში, ჩვენში ღირს 22 1/2—23 კაპეკად, და მზურგეთში და ლანჩხუთში კი, რომელიც რკინის გზას აკრავს, 25—27 კაპეკია? რასაკერძეელია იმისგან, რომ თელავში, კერძო მოვაჭრეთა გაუმაძღარს გულს პირში აპყუდებია საზოგადოდ ღუქანი და არას შემთხვევაში ნებას არ აძლევს ფასის უკიდურესად აწევას და მზურგეთში კი, საზოგადოდება შეჰსცქერია ტაქსას და მისგან მოცელის შევებას და შევლას!.. აბა დააარსეთ მზურგეთში და ლანჩხუთში საზოგადოდ ღუქნები, იქონიეთ მასში ყოველ-გვარი საქონელი, და მაშინ ნახეთ, თუ იგივე ვაჭრები ყველაფერს ერთი-ორად და სამად უჭრო კარგს და იაფად არ გაპყიდიან! თელავში რომ საზოგადოდებო არა ყოფილიყო, აქაც გირვანქა შაქარი 25—28 კაპ. იქნებოდა, ბ. და ს. პაპოვების ორ-მანეთიანი ჩაი-თერთმეტ აბაზად, სერგეევის № 6 ქალაქი ოზმა ოთხ მანეთად, მაშინ როდესაც ახლა გირვანქა შაქარი 22 კაპეკია, ორ-მანეთიანი ჩაი ისევ ორ-მანეთად არის და სერგეევის № 6 ერთი ოზმა სამ მანეთად და სხვ.

ახლა არ შემოძლიან ძიზიყვლების ყურადღება არ მივაქციო ერთს გარემოებაზე, ურომლოთაც მათგან დაარსებული საზოგადოდ ღუქნების საქმე საშინლად აირვე-დაირვეა და ბოლოს კიდევაც ჩაიფუშება, განსაკუთრებით თუ პირველშივე დიდი ფულით დაიწყეს საქმე. მაღაროელი გლეხის შენიშვნები ამ საქმეზე რიგინი იყო და უთუოდ სახეში უნდა მივიღოთ. ამ ქამად მე ვვაქცივ მხოლოდ ქიზიყვლების ყურადღებას ერთს საქირო საგანს: საზოგადოდ საქმე მაშინ მოიპოვებს ხალხის გულს, როდესაც ამ საზოგადოდ საქმის მდგომარეობა, წარმოება, ზარალი, მოგება ნათელსავით ცხადია ყველასათვის; მაგრამ თუ მდგომარეობა საქმისა ბნელია, წარმოება უთავ-ბოლოა, მოგება და ზარალი გამოურკვეველია, მაშინ, დიემრწმუნეთ, ხალხის უკანასკნელი ქონების შეღვევაც ამ საქმეზე ვერას გახდება.

მთქვანთ მე ვარ საზოგადოდ ღუქნის გამგებობის ერთი წევრთაგანი და მმართველი ვაჭრობისა, ე. ი. გამომწერი და მსყიდველი საზოგადოდ ღუქნისათვის საქირო საქონლისა. მოდინართ და მკითხავთ: რამდენი მანეთის საქონელია დღეს თქვენს ღუქანში? მე გიპასუხებთ: რა მოგახსენოთ, არ ვიცი, რამდენი ნაღდი ფული გაქვთ?—ბიდეც ის პასუხი—არ ვიცი. რამდენი მანეთისას ჰყიდი თვეში?—ბიდეც,

არ ვიცი. თვეში რამდენი შაქრის დამზადება გქირდებოთ?—ბიდეც, რამდენი ჩაი, საპონი, თამბაქო, პანიროზი და სხვა?—ბიდეც, არ ვიცი. წარსულს თვეს რამდენი მოგება გქონდათ შაქარზე? ჩაიზე? თამბაქოზე? წვიმიანზე?—ბიდეც, გულ-დასალონი პასუხი—არ ვიცი. მაძლევთ კიდევ სხვა კითხვებსა შესახებ ღუქნისა და ყველაზედ გესმით ერთი და იგივე პასუხი: რა მოგახსენოთ, არ ვიცი. ამ გვარი ბნელი მდგომარეობა და მოქმედება სასო-წარკვეთილებაში ჩაპყრის ყველა მონაწილეს. როგორც გამსესხებელ-შემნახველს ამხანაგობაში ყოველი წარმოება სრულდება და ბეჯითებით გამოკვლეული გზით, სადაც ერთი კაპეკი ვერ დაიმალდება, სწორედ ამ გვარივე სისწორით უნდა წარმოებდეს საზოგადოდ ვაჭრობა და მაშინ არა თუ მხოლოდ დამწყობნი და გამგენნი თავს დასდებენ ამ საქმეზე, არამედ თვით საზოგადოდებაც არაფერს დაიშურებს მის წარმატებისათვის. მართი სიტყვით, მივაქცივ ძიზიყვლთ ყურადღებას მასზედ, რომ მათ იწყონ ვაჭრობა ეგრედ-წოდებულ ბუზგალტერიის წესით, ე. ი. იქონიონ და აწარმოონ ის დავთრები, რომელსაც მოითხოვს ბუზგალტერია. ჩვენში ფრიად ცოტა მოიპოვება ვაჭრობის ბუზგალტერიის მცოდნე, მაგრამ რაც არ ვიცი, უნდა ვისწავლოთ.

ამ საგნის მდგომარეობა თელავის საზოგადოდ ღუქანშიაც არა სანატრელ მდგომარეობაშია, ე. ი. აქაც საქმე ცხადი არ არის, ბუზგალტერიის წესით საქმის არ წარმოებისაგან, მაგრამ წვერნი გამგებობისა ბეჯითად შეუდგენენ ბუზგალტერიის შესწავლას და ახალი წლის პარველის იანვრიდან უთუოდ იქნება შემოღებული ეს წესი. ბი მაშინ იქნება საქმე ცხადი, ვაჭრობა ნაძლეული და წესიერი.

წერილი რამდამბოროთან.

რვა წელიწადია მას აქვთ, რაც სოფელს სოფელში არის დაარსებული სკოლა აჭურია საზოგადოდებისგან; ამიტომ აქ არიან ისეთი უმაწილები, რომელთაც გაუცნიათ კითხვის გეო. მოდინ ჩემთან ხშირად და მთხროვენ საკითხავს წიგნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემოძლიან დაუკმაყოფილო მათი თხოვნა სკოლის ბიბლიოთეკის ქართული წიგნებით სიღარბის გამო; რაც ორივე წიგნი მოიძებნებოდა სკოლის ბიბლიოთეკაში და ან რაც კერძო პირებისგან ვიძებნე, რამდენიმეჯერ გარდავიკითხეთ და მეტი ვეღარსად მიმოგნია. გული შეთანადრება, რაცა მოხმებში გასკუული გლეხის ბიჭი მოდის საკითხავი წიგნის სათხოვნელად და მე კი ვუხმებ, ჯერ არა მაქვს და მალე ვიშოვი-მეთქი, მაგრამ საიდან უნდა ვიშოვო,—არ ვიცი, რაცა აჭურის საზოგადოდების სიღარბის გამო მიუცილებელი საჭირო სასწავლო ნივთების უიდავც ძლიერ უმწიდე-

ბა ამიტომ. უმორჩილესად ვთხოვ სა-  
ქართველოში წინა-კითხვის გამაგრებელ-  
ბელს საზოგადოებას, რომ შეიბრძვას  
ეს სწავლის მოყვარე გლეხის ბავშვები  
და გამოგზავნოს ჩემდამი რწმუნებულს  
სოკლესის სკოლის ბიბლიოთეკისთვის  
ჩამდებნი ქართული საკითხავი წიგნი.

სკოლის მასწავლებელი ისიდორე ქიჭინაძე.  
1883 წ.  
დეკემბრის 19-ს.

### რუსეთი

— რუსეთში მიწის მეშა ხალხი  
ძლიერ დაზარალებულია ვსრედ წოდებულ  
ქვეყნის მკამლეობისა და ჩარ-  
ჩებისაგან; ესენი თითქმის უფასოდ  
ყიდულობენ მიწის ნაძუშეგარს და  
გლეხ-კაცობის ნაწარმოებებს საქონელს  
თვით მწარმოებელთაგან, რომელთაც  
არავითარი საშუალება არა აქვთ თა-  
ვიანთ ნაწარმოებთა უზარალოდ გა-  
სასაღებლად; მიწის მეშა ხალხს ხელ-  
მოკლეობისა გამო არ შეუძლია გაი-  
ტანოს თავისი ნაწარმოები სხვა  
საქონელი მანც მომარებულს ად-  
გილს; მან არ იკის, თუ სად რა ნა-  
წარმოები ესაჭიროებათ; ამისათვის  
იგი იძულებულია ხელში ჩაუვდოს  
სიმწარით მოპოვებული ლოკა პური  
«ქვეყნის მკამლეობის», რომლებიც მას  
წინადაც თავს ადგიათ, სარგებლობენ  
გლეხ-კაცობის ხელ-მოკლეობითა და,  
რადგანაც უფრო გაჭირვებულია  
გლეხ-კაცობა, მით უფრო მეტს სარ-  
გებლობას გამოარჩებენ ხალხს. რო-  
გორც რუსული გაზეთები გვატყობი-  
ნებენ, პეტერბურლის გუბერნიის ზო-  
გიერთა მემამულეთ, ზემოთ აღწერილ  
მანვე გარემოებისაგან, განუძრავათ  
დაარსება ამხანაგობისა, რომელსაც  
დანიშნულებად ექნება ჩარჩების და  
«ქვეყნის მკამლეობის» შეამაღრობის  
მოსაზრება მწარმოებელთა და მომხმარ-  
ებელთ შორის. ამხანაგობის ძირი-  
თადი თანხა 500,000 მან., მისი საქ-  
მეები უნდა აწარმოვოს უფლებით  
აღჭურვილმა პირმა, რომელიც, ამხ-  
ნაგობის პროექტის თანახმად, და-  
დებულია გამოიხატოს შესაფერი ადგი-  
ლები სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა გა-  
სასაღებლად და გასაერცლებლად;  
იმვე პირს ეკუთვნის ხელმძღვანე-  
ლობა ამხანაგობის ყველა ოპერა-  
ციებში. ამხანაგობის პროექტი ამ  
დღეებში უნდა წარუდგინონ უმაღ-  
ლესს სამმართველო წრეთა განსახილ-  
ველად.

— პატარა სკოლი მკინი, რომ-  
ლის თავ-გადასავალი აღწერილი იყო  
«ღროების» წინა ნომერში, რუსული  
გაზეთების სიტყვით, ავად-მყოფობას  
გადურჩა და მიღებულ იქნა სრულს  
სახელმწიფო ხარჯზე კონსერვატო-  
რიაში.

— როგორც იწერებოდა, ზოგიერთა  
ინგლისელები გულ-მოდგინედ სწავ-

ლობენ რუსულს ენას; იმათ უმეტე-  
სობას შეადგენენ სამხედრო სამსა-  
ხურში მყოფნი.

### უცხოეთი

— გაზ. «რუსკი კურირს» შეუტე-  
ვია, რომ ბულგარების მთავარმა, როდ-  
საც რუსეთში იყო, იმპერატორის ტუ-  
ლის საიარაღო ქარხნას შეუკვეთა თა-  
ვის ჯარისთვის 20,000 კინტოკა, სსვა-  
და-სსვა იარაღი და პატრონები სულ  
რომ მილიონი მანეთისა. ეს ფული  
პარობისამებრ რა წლის განმავლობაში  
უნდა გადახდას მთავარმა. პარობის  
ძალით ბულგარების საღარომ 20,000  
მანათი უნდა ჩაბაროს ტულის ქარხ-  
ნას მომავალ წელში.

— «სანტა ჩეხინა», ასეთი ლა-  
განიური ტელეგრაფი მიუღია საფრან-  
გეთს ზღვათა მინისტრს სანტაის ად-  
ბის თავობაზე. ქრისტეშული გაზეთები  
ძალიან გაუხარებია ამ სიმადრის ადებს  
და თავ-გამოდებით, ამაყად ლაპარაკო-  
ბენ, რომ აერმით ადებს ეს სიმადრე.  
დიდება და პატივი ჩვენს მამაცს ჯარ-  
სა. მაგრამ ჩვენი ჯარის რომ გამაგრ-  
ებდა, ამაში ეკვი არავის ეჭვანდაც.

ეს გამაგრება დიდს გავლენას იქ-  
ნებს ჩინეთის დიპლომატიკაზე, ზომი-  
რად ჯეოგრაფი და კისერს მოადრეკინებს  
საფრანგეთის წინაშე: ნათლად დაუმტ-  
კიცებს იმათ, რომ საფრანგეთის ძლი-  
რება არა სუსტდება და უოკლეო საშუა-  
ლება აქვს დაიცვას თავისი უფლებანი და  
სამფლობელონი ინდო-ჩინეთში. ჩვენი  
გამაგრება ასამაგონებს აგრეთვე იმ ინგ-  
ლისურს გაზეთებსაც, რომელთაც სურთ,  
ამ გაჭირვებული დიპლომატიკად გამარ-  
ჯებულნი გამოვიდეთ. ინგლისს ეს  
სწორედ მარჯვე დრო აქვს, რომ შუა-  
განება ივისროს ჩინეთსა და საფრან-  
გეთს შუა; ეს როგორც საფრანგეთის-  
თვის, აგრეთვე ინგლისისთვისაც სასარ-  
გებლო იქნება.

ამავე გაზეთების სიტყვით, პარობის  
ბიჭვის და დიპლომატიკურის წრეებში  
დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ლორდ-  
მა გრანვილმა და მარკის ტენგმა, რომ-  
ელსაც ეს უკანასკნელად ლონდონში იყო,  
საიდუმლო პარობა შექმნეს ურთიერთ-  
შორის, რომ ინგლისმა ივისროს ჩი-  
ნეთსა და საფრანგეთს შუა შუაგანობა.  
პარობა დაწმუნებული არაინ თურმე,  
რომ ჩინეთი ამ პარობას ძალით ინგ-  
ლისს უთმობს კუნძულს საი-ნანს, თუ  
ინგლისს მმართველობა ბავნიგისთვის  
თავს დაანებებენ საფრანგეთსა. ამ  
კუნძულზე ბევრი ლითონის მადნებია და  
ჭავჭავ თურმე ძალიან კარგია; თუ ინგ-  
ლისი მოასწავებს საფრანგეთს, მიერ  
ბავნიგის თათობას, ჩინეთი, შერაცხვის  
შემდეგ ქვესი თუ რომ გაივლის, მაშინ  
ჩაბარებს ამ კუნძულსა. ამას გარდა  
ჩინეთი არც ტონკინის გაყოფას ამ-  
ბობს უარსა.

— ამას წინათ განხილეთ მკითხვე-  
ლებს, რომ ოსმალეთის მმართველობა  
ძალიან შეუძინება და შეუფიქრანება

ცრუ-წინასწარმეტყველის მხდის მოქმედ-  
ბას. ესეა კიდევ გუბერნატორის გაზე-  
თებდაც, რომ საფრანგის პარობის სწო-  
რედ «საფრანგულად» გაჭნდომია მხდის.  
როგორც გაზეთები გვატყობინებენ, უკან-  
ასკნელს გამაგრებას ისე აუმაღლებია  
ხალხის თვალში მხდის მნიშვნელობა.  
რომ არამც თუ კერძო აჭრავის ტომე-  
ბი, თვით ეგვიპტის ზოგერთა რამე-  
ბიც თურმე გადასულან მისს მხარეზე.  
ამ გარემოებას ფრად დაუფლებია მმარ-  
თებლობის წრენი და შიმობენ თურმე,  
აჯანყება არ მოხდეს ზოგერთ მხარე-  
ში, სადაც მცხოვრებულს, ცოტა არ  
არის, გუბერნატორის სტამბოლ-  
ში დიპლომატიური წრეები ძალიან გა-  
ვირეულები არაინ თურმე, იმავე უფ-  
რო ბევრს ლაპარაკობენ, რომ შესაძლ-  
ებელია ჩინეთსა და საფრანგეთს შორის  
დასო ომი და კიდევ იმავე—თუ რა შედეგი  
ექნება ამ ომს ევროპისთვის, — ვიდრე  
სუდანის რელიგიურს მოძრაობაზე, რომ-  
ელიც უფრო საშიშა მთელი ქვეყნის-  
თვისა. ინგლისის ასეთის, არა ჩვეუ-  
ლებრივის განუძების მიზეზს შესასებ  
უფანის საქმეების დახლოებასა აწერს იმ  
გარემოებას, ვითომც ლორდს დეპტერინს  
მიერც წინადადება თავის მმართველობის-  
თვის—ჯგობს სული ავიღოთ სუდანზე-  
დაც, და ინგლისის კაბინეტიც ნელ-ნელ-  
დაც ეჩვენებს ამ ფიქრსა. ზოგნი კიდევ  
ამტყვიებენ, რომ ინგლისი უფროებს  
შემდეგში მხდის როგორც წესს აქს და  
შემდეგ იმის მოქმედების კვლობაზე  
ისიც დაიწყებს მოქმედებას. ჯერ ინგ-  
ლისის საუღმოს არავითარი ინსტრუქ-  
ცია არ მიუღია, და დაწმუნებულინი  
არაინ სტამბოლში, რომ პირველივე  
კურირით, რომელსაც ამ დღეებში მო-  
ვიან, ლორდი დეპტერინი შესამჩნევს  
დეპტერის მიადებს ლორდი გრანვილის-  
გან ეგვიპტის საქმეების შესახებ.

### უცხოეთი

შემდეგია სხვა-და-სხვა ტომთა  
მსეთში დაიწყო მე-V საუკუნეში.  
ბევრ საჩინო სამეფოებს ეკირათ თვა-  
ლი ამ პატარა მხარეზე, მაგრამ რა  
გამორჩენა შეძლათ ოსებისაგან მაგ.  
იმისთანა სამეფოებს, როგორც იყო  
ბიზანტია? რასაკვირველია, ძალიან  
მცირე მატერიალურ სარგებლობას  
მოუტანდა მსეთი სხვა-და-სხვა სამე-  
ფოს; ამასვე უნდა დაეუმატოთ სი-  
ძნელე-გალობა მსეთში და  
ამკარად დაინახეთ, რომ არავის  
არ მოუვიდოდა თაფლი დაპყრობა  
მსეთისა. მაგრამ ბიზანტიას და სხვა  
სამეფოებს არ უნდოდათ ოსების  
ვერცხლი; იმათ უნდოდათ მხოლოდ,  
რომ ოსები ომებში დახმარებოდნ.  
ბათქმული იყო მაშინ ალანების  
(ოსების) ჯარი. შეელო სტდილობ-  
და, ე-ჯარი ომის დროს თავისკენ  
მიემზო. ამას გვიმტკიცებენ სხვა-და-  
სხვა ფაქტები, როდესაც ოსები ფუ-  
ლის გულისთვის ეშველებოდნ ხან  
ბიზანტიელებს, ხან სომხებს, ხან ივე-  
რიელებს, ხან სპარსელებს და სხვ.

550 წ. ბიზანტიელებს დასპარსე-  
ლებს მოუვიდათ ჩნებრივი ქვეყნის  
უნდა ეკუთვნოდნს ლაზიკა, მსეთი  
და სხვ. ბოლოს ბიზანტიამ აჯობა  
სპარსეთს და ხელში მოიგდო, რომ-  
გორც მსეთი, აგრეთვე სხვა ადგი-  
ლებიც.

562 წ. იუსტინიანმა გაილაშქრა  
პავსიის მთიულებზე და დაპყრო  
ჩერქეზები, ოსები, აფხაზები და სხვ.  
მატიანეს სიტყვით იუსტინიანეს ხელთ  
ეპრა მთელი მხარე, მდ. თერგიდამ  
დაწყობილი ვიდრე ტაბანამდე\*). იუს-  
ტინიანემ გააერცვლა ქრისტიანობა  
ოსებში, ჩერქეზებში და აფხაზებში.  
მსები იუსტინიანეს წმიდათა სთელიან  
და «იუსს» ეძახიან. ლიგურიაში, სო-  
ფელ ბალიათში იმყოფება ეკლესია,  
რომელსაც ოსები იუსის (იუსტინი-  
ანეს) შუარს ეძახიან. ლიგურის ეკ-  
ლესია, უფველია, იუსტინიანეს დრო-  
სა უნდა იყოს.

იუსტინიანე ძალიან სტდილობდა,  
რომ მთიელები თავის მმართველობის  
ქვეშ ჰყოლოდა; ამიტომ ის აჯილ-  
დოებდა ოსურ «ალღარებს» (თავა-  
დებს) სხვა-და-სხვა ხარისხით, ფულით  
და სხვ. მსებს ახსოვთ იუსის დროის  
ალღარები როსტომ და ბიბილა. ამ  
ალღარებს მარი ბროსეც იხსენებს.  
ის ამბობს, რომ «სამ ბატონიშვილს  
სიდიომების გვარისა, როსტომს,  
ბიბილას და წილოსანს იუსტინიანმა  
უბოძა ძეგა-ფლაველი, სხარაზმა და  
სხვა ადგილები; ამ ალღარებში იწ-  
ყობა მრისთაველის გვარი\*\*). ამას  
ზედვე ბარონი ჰაქსტაუზენი ამბობს:  
«იმპერატ. იუსტინიანმა, რომელმაც  
574 წ. აღიყვანა საქართველოს ტანტ-  
ზე პირველი ბაგრატიდი ზურამი, და-  
ნიშნა ოსი როსტომი ძიჭატოსი ერის-  
თავად 39 სოფლისა მდ. სიანთან (სიან-  
თან?)\*\*\*). როგორც უნდა იყოს,  
მანც იუსტინიანეს თავის სიკვდილამ-  
დე ეკირა მსეთი და აგრეთვე გან-  
თქმული ლეგიონე Caucasiae pylae  
(ღარი-პქლანი, ღარი-პლი). იუსტი-  
ნიანის I შემდეგ, მისის მემკვიდრის  
იუსტინე II დროს, როგორც ოსე-  
ბი, აგრეთვე აფხაზები და ჩერქეზები  
განთავისუფლდნ ბიზანტიელებისაგან,  
რადგანაც მაშინ იმპერატ. იუსტინე  
II შექონდა გაცხარებული ომი სპარ-  
სელებთან. შემდეგი შემოსევისი მონ-  
გოლებისა, სპარსელებისა, არაბებისა  
და სხვ. არა ჰგავდა ბიზანტიელთ შე-  
მოსევას.

1218 წ. მონგოლები გაჩნდნ სა-  
ქართველოში და 1221 წელს აიღეს  
ქ. თბილისი. ამის შემდეგ ბატი-ჩანი  
გარდავიდა მთებში და დაიპყრო ოსე-  
ბი. 1225 წ. პავსიაში უფრად გა-  
ჩნდა არაბელი ჯელალ-მდინი, დაამარ-  
ცხა მონგოლები და განდევნა იგიები

\*) Brosset, I, page 212.  
\*\*) Additions et éclaircissements, M. Brosset, გვ. 372—385; იხილეთ ჯეროვე История Грузии Голловина, стр. 40.  
\*\*\*) Закавказский край. Барона-Августъ-фонъ-Гакстгаузена, II, 79.

ძველადამ. ამის შემდეგ ოსები არა-  
ბელთ ხელ ქვეშ იყვნენ...

ბავილა ას-სამოცი წელიწადი ჯე-  
ლოლ-მდინის მსეთში მყოფობის შემ-  
დეგ, და ძველას თე-ზარი დასცა  
«ჩინგისხანის მემკვიდრე გმირმა», გან-  
თქმულმა თეპურლანმა. 2 თებერვალს  
1386 წ. იმან აილა თბილისი და  
შემდეგ დაიპყრო ოსები, ფშავები,  
ხევისურები, გულა-მაყრელები და სხე-  
მე-XVII საუკუნეში დაესივნენ  
მსეთს ყაბარდოელები, შირიმის თათ-  
რები და სპარსელები. მსები ამბო-  
ბენ, რომ შაჰ-აბასი მოვიდა შალა-  
ჯირში, სადაც ოსები დაუხდენ ნუ-  
ხალის ციხეში და რამდენსამე ხანს  
გაუმარდენ მათ; მაგრამ შემდეგ ერთ  
ქალს ელალოტან ოსებისათვის. შაჰ-  
აბასმა აილა ციხე ნუხალი და და-  
იპყრა მთელი მსეთი...

გიორგი ჩოჩიშვილი.

### სტელეგრაფი

(ქრდილოეთის სააგენტოსათვის)

21 დეკემბერს.

ნარკოპი. წუხელის გადიწვა  
კომერციული კლუბის შენობა.

ბახმუში. რადინგო—ვასილიევი-  
გოს მამულში, დონის რკინის  
გზის სტანციის ნატალიევიის ან-  
ლო სპილენძის მადანი გამოჩნდა.

ბამკოპი. ქალაქის საბჭომ და-  
ადგინა, რომ დირექტორებს და  
წევრებს ქალაქის საზოგადო ბან-  
კისას თითო 10,000 მანათი კრე-  
დიტის მეტი არა ჰქონდეს.

სარიცინი. დღეს მატარებელი  
გრიზოცარიცინის რკინის გზა-  
ზედ ყველა მოსამსახურე პირე-  
ბითურთ ექვსი საყენის სიმაღლე-  
ზედ ხევში გადავარდა. მატარე-  
ბელში მსხდომნი ყველანი ცოც-  
ხალნი გადაჩნენ.

მოგილიანი კოდოლსკისა. ჰო-  
დოლის მაქრის მექარხნეთ უნდათ  
იამპოლის მაზრაში მაქრის კეთე-  
ბის სასწავლებლად სკოლას დაა-  
ფუძნონ.

ლონდონი. ოქციბილურად გა-  
მოცხადებულია, რომ ინგლისის  
კონსულების იურისდიქცია ტუნის-  
ში გაუქმებულია, რის გამოც ინგ-  
ლისის ქვეშევრდომთა საქმე ად-  
გილობრივ სასამართლოთა ხელ-  
ში იქნება და არა კონსულების  
ხელში.


რომი. იტალიასა და საფრან-  
გეთს შუა თანხმობა ჩამოვარდა  
შესახებ კონსულების იურისდიქ-  
ციისა ტუნისში.

### ბანკადგანი

ინგლისი მუკარაბის ბანკი 85 კაპ.,  
მშენიერი აპელისინის მარმელადიქი-

ლა (5 გირ.) 1 მან. 30 კ., ტულა-  
პიზმისთვის და ხელოვნების გირ-  
ვანქა 80 კ., ინდიური ბრინჯი 6 კ.,  
ფინჯნები ლაბაქებითა ლუქ. 2 შ.  
40 კ.-დამ, წისქვილები ყაიხთისა 1  
მანათილამ, ბეზმერი სასწორი 1 მან.  
25 კ.-დამ, საოჯახო სასწორი 5 მ.-  
დამ. ინგლისის მაღაზიაში. აქვე  
იყიდება ძალიან იაფად: ჩინიკები,  
ფოდნოსები, პრიბორი და სხვა სა-  
ქონელი ბრიტანის მეტალისა, ფან-  
რები, უთუოები, უნაგირები, კლე-  
ოჩკები და სხვა მხის სათი და ხე-  
ლოვნებითი ყველილები შუშის კოლ-  
ბაკებით ნახევარ ფასად იყიდე-  
ბიან. (8—4)

### ინგლისური რკინის კარავობანი



ერთის საწოლი 7 მანათილან და  
ორის საწოლი 14 მანათილან, მათი  
ლებები, ზღვის ბაღანით გატენილი 5-  
დგან 8 მანათილან. კიდევ შემდეგი ნივ-  
თება იყიდება 25%-ით უფრო იაფად,  
კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტა-  
ლის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სა-  
შაქრე, ჩაისა და სტოლის გოგუბი ჩანგ-  
ლებითა, ფადნოსი, დასადგელო, შირის-  
საბანი, სტაქები, სუფოგნები, საწოლ-  
გები, რიუგები, გრაფინგები, საჭაშური,  
თუფები, ბლუდები, სასაღაოები, ტაშ-  
ტები, საბეჭეები, სამარილები, გარბი-  
ცის საფეხები, უნაგირები კაცისა და  
ჭალისა, ადირები, ზღისტები, ტანისა-  
მოსის დასკადებები, საბაღო მაკრატ-  
ლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები,  
სურსები, ჭაბები, კლიტები, ანგლისის  
თოფები და რეკოლეკრები, პიუბი, ზა-  
რადები, კაშპიულები, საფანგები, ნიჩ-  
ბები, ვატერპრუქები, სახნები, ზღაქები,  
წინდები, სუფრები, სადჭეტიკებისათვის  
რგოლები, ემაღანის ჭურჭელი, მურა-  
ბები, კამფეტი, პიგულები, სოუსები,  
ზღვის ბაღანი, დიმიკიტონები და სხ.  
ინგლისურს მაღაზიაში №№ 156,  
157, 158, 159 და 160. ამ ნომერებს  
უფრადლება მაქციეთ. (100—35)

4,000 თეფში 1-ს სორტისა,  
ორი მანეთი დუქინი! დანები ჩანგ-  
ლებით, ჩაი 1-ი მოკრეთისა, მშვე-  
ნიერი, 1 მან. 60 კაპ.; ხველების  
კანჭეტიები და მურაბა სხვა-და-სხვა  
სორტებისა, ესენცია კაკაოსი, პი-  
კულები, თოფები, რეკოლეკრე-  
ბი, ჭაბანგელები და სხ. ბევრი  
ინგლისის მაღაზიაში, აგრეთვე უო-  
ველთვის ინგლისური და ჭრან-  
ცუზული რკინის კრატები და  
სხვა საქონელი 307. უფრო იაფად,  
ვიდრე სხვაგან სადმე. (8—5)

რადგან კსპობთ ვაჭრობას სასმელებით  
და სხვათა საქონლით, ამისათვის  
არა ჩვეულებრივის სიიფით ვუიდი: კა-  
ნაგს, პორტუგისს, სერესს, შამპანის  
ღვინოს და სივარებს ლონდონის მა-  
გაზინში კამერციულ ბანკის ქვეშ.  
(10—1)

სასტუმრო «პარიში»  
სასახლის ქუჩაზე გადავიდა, ახალი  
მატრონების ხელში, რომლებმაც ვა-  
აუმჯობესეს სასტუმროს ნაკლებევა-  
ნება ყოველის მხრით. ფასი №-ს 70  
კ.—2 მანეთამდი. სასტუმრომ შეი-  
ძინა საუკეთესო მზარეული თბილის-  
ში. ფასი სასმელ-საჭმლისა და სხე-  
ძლიერ გაიფებულია, ზრდილი და  
მარჯვე მოსამსახურეებით.  
ამხანაგები: აზნ. (3. საყვარელიმე.  
(3—2)

მშენიერი ქუჩა-ქუჩაი ამ წლის  
ბოლომდის იყიდება ჩვენი მაზრაში.  
ანგლისის მაღაზიაში.  
ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2  
მან. 40 კაპ. უარეს ჩაიში სხვაგან.  
იქვე იყიდება ხელოვნური ყვე-  
ლები მინის ხუფებით, ლამაზ, ქუდე-  
ბი, დრატეა, ტრიკო და სხვა მრავა-  
ლი საქონელი ნახევარ ფასად.  
(18—3)

### თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა

ზამეგობა თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა  
ამით აცხადებს, რომ რადგან 19 დეკემბერს ამა 1883 წლისა დანიშნული  
ვაჭრობა ვერ შესდგა ზოგერთ მამულზედ, ამიტომ დანიშნულია ბანკის  
წესდების 21 წ-ის ძალით მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ქვემოხსენებულ  
მამულებზედ 5-ს იანვრისათვის 1884 წლისა, შუადღის 12 საათზედ, ბან-  
კის სადგურში, თ. ზრუზინსკის სახლებში № 13.

გლახაშვილი (იგივე მატახელოვი), ბესო ანდრიას-ძე. მართ-სართუ-  
ლიანი სახლი ერთ-სართულიანის ფლოიველით და 48 1/2 ოთხ-კუთხი საყენი  
მიწით. მე-2 განყოფილებაში, ტუკიაში. თაფნი ვალი 1,032 მანათი 61 კა-  
პეიკი, დარჩენილი 76 მანათი—სულ ერთიანად 1,108 მან. 61 კაპ.

განგებოვისა, აგრაჩენა მასილის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის  
სახლი ყოველივე მოწყობილობით და 90 ოთხ-კუთხი საყენი მიწით. მე-8  
ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თაფნი ვალი 6,721 მან.  
27 კაპ., დარჩენილი 743 მან. 11 კაპ.—სულ ერთიანად 7,464 მან. 28  
კაპეიკი.

გურგინბეგოვი, ალექსანდრე იაკის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის  
სახლი და ორ-სართულიანი ფლოიველი 160 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. მე-11  
ნაწილში, მე-2 განყოფ., ქ. თბილისში ახალ-პრსენალის ქუჩაზე. თაფნი  
ვალი 10,562 მან. 1 კაპ., დარჩენილი 1,002 მან. 22 კაპ.—სულ ერ-  
თიანად 11,564 მან. 22 კაპ.

ყარაგვი, ანდრია მსენფას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი,  
სარდაფის სართულით, ყველა თაფის მოწყობილობით და 104 ოთხ-კუთხი  
საყ. მიწით. მე-5 ნაწილში, 1 განყოფ., ქ. თბილისში, შრანგების ქუჩა-  
ზე, თაფნი ვალი 24,772 მან. 69 კაპ., დარჩენილი 2,171 მან. 98 კაპ.—  
სულ 26,944 მან. 67 კაპ.

თარხან-მოურავოვი, ლუკა მატატეს-ძე. სახნავი და საბალახე ადგი-  
ლები 108 დესეტინა 1,735 ოთხ-კუთხი საყ. თბილისის გუბერნიაში, ბო-  
რის მაზრაში, სოფ. ცხურეთში, სათხარლოში და სხ. თაფნი ვალი 8,771  
მან. 43 კაპ., დარჩენილი 528 მან.—სულ ერთიანად 9,299 მან. 43 კაპ.

შალიკოვები: პონსტანტინე როსტომის-ძე, ნიკოლოზ, ბიორგი, მი-  
ხეილი და მართა ლიმიტრის-ძენი, და სალომე პანტელემის ასული. სახნავი,  
საბალახო, სათიბი ადგილი და ტყე 1447 დესეტ. 2296 ოთხ-კუთხი საყ.  
თბილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფელს სკრაში. თაფნი ვალი  
32,168 მან. 54 კაპ., დარჩენილი 2,012 მან. 14 კაპ.—სულ ერთიანად  
34,180 მან. 68 კაპ.

ხეჩატურისანი, მრისტეფორე ბრიგოლის-ძე, (აწ ავლოვებისა). სახნა-  
ვი და ავარაკი მენობებით 151 დესეტ. 300 ოთხ-კუთხი საყ. თბილისის  
გუბერნ., ბორის მაზრაში, სოფ. ბრეთში. თაფნი ვალი 8,680 მან. 67 კ.,  
დარჩენილი 483 მან. 52 კაპ.—სულ ერთიანად 9,164 მან. 19 კაპ.

ბაქრაძე, იოსებ ლავითის-ძე. საბოლნე ადგილი ზომით 7 დესეტინა  
1843 ოთხ-კუთხი საყ. თბილისის გუბერნ. და იმავე მაზრაში, სართიკალა-  
ში. თაფნი ვალი 4,933 მან. 64 კ., დარჩენილი 333 მან. 52 კაპ.—სულ  
ერთიანად 5,267 მან. 16 კაპ.

ერისთავი, იოსებ ლავითის-ძე. ტყე 183 დესეტ. 1920 ოთხ-კუთხი  
საყ. თბილისის გუბერნ., თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმაში. თაფნი  
ვალი 2,000 მანათი, დარჩენილი 89 მან. 20 კ.—სულ ერთიანად 2,089  
მან. 20 კაპ.

ერისთავი, ძონა (იგივე იაკობი) მირმანოვის-ძე. სახნავი და საბალა-  
ხო ადგილები ზომით 119 დესეტ. 946 ოთხ-კუთხი საყენი, თბილისის გუ-  
ბერნ., ბორის მაზრაში, სოფ. შულის-ციხეში. თაფნი ვალი 989 მან. 55  
კაპ., დარჩენილი 82 მან. 42 კაპ.—სულ ერთიანად 1071 მან. 97 კაპ.

ჯორჯაძეები: მიხეილ ნოდარის-ძე და პონსტანტინე სოლომონის-  
ძე. მენახი 2160 ოთხ-კუთხი საყ. თბილისის გუბერნ., თელავის მაზრაში,  
სოფ. საბუეში. თაფნი ვალი 2,000 მან., დარჩენილი 96 მან. 57 კაპ.—  
სულ ერთიანად 2,096 მან. 57 კაპ.

თამამშვი, მასილი ზაქარიას-ძე. სახნავი მიწები და ტყე 2052 დესეტ.  
448 ოთხ-კუთხი საყ. თბილისის გუბერნ., თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-  
ხოდამენში. თაფნი ვალი 13,619 მან. 18 კაპ., დარჩენილი 587 მან. 8  
კაპ.—სულ ერთიანად 14,206 მან. 26 კაპ.

მაყუშვილი, ივანე რამანის-ძე. მენახი 1 დესეტ. 1800 ოთხ-კუთხი  
საყ. თბილისის გუბერნ., თელავის მაზრაში, სოფ. რუის-პირში და იყალ-  
თოში. თაფნი ვალი 800 მანათი, დარჩენილი 60 მან.—სულ ერთიანად  
860 მან. (1—1)